ქალთა ჩართულობა 2017 წლის არჩევნებზე

გვ. 2

ფოთში მაჟორიტარულ კანდიდატებსა და პარტიების წარმომადგენლებს შორის დისკუსია გაიმართა

გვ. 2

მთავარი თემა საკრებულოში

ფასი 50 თეთრი №26 16 - 23 ოქტომბერი 2017 წელი გამოდის სამშაბათობით

ფოთში ოპოზიციონერი პარტიის წარმომადგენლები სიებში არარსებული ქუჩების გამოჩენას აპროტესტებენ

ინგა გვასალია
ფოთი

ფოთის ოპოზიციური პარტიები ამომრჩეველთა სიებს აკრიტიკებენ და ამტკიცებენ,რომ სიები,მრავალჯერადი მცდელობის მიუხედავად, არასრულყოფილია, „მკვდარი სულები" კი არჩევნებში ისევ „მონაწილეობენ". სიების დაზუსტების ვადა უკვე ამოიწურა.

„ხელისუფლება „ნაციონალურ მოძრაობასთან" ერთად წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით არჩევნების გასაყალბებლად ემზადება" — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"-ს ფოთის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა მამუკა გობეჩიამ.

გობეჩიას ამის თქმის შესაძლებლობას არსებული ამომრჩეველთა სიები აძლევს. როგორც მან განაცხადა ამომრჩეველთა სიებში ისეთი ქუჩები და შენობებია შეყვანილი, რომლებიც საერთოდ არ არსებობს. ასევე რამდენიმე ქუჩა არასწორადაა მიბმული საარჩევნო უბნებს.

როგორც გობეჩია ამბობს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"-ს ფოთის საარჩევნო შტაბი გააგრძელებს მონიტორინგს, შეისწავლის თითოეული ქუჩის მიხედვით ამომრჩეველთა სიებს და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვს იუსტიციის მინისტრის გადადგომას და 70-ე საოლქო საარჩევნო კომისიის დაშლას.

იგივე პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას „შენების მოძრაობის" პარტიული სიის პირველი ნომერი იაგორ თავართქილაძე: „ჩვენი პარტიაც

დასასრული 2-გვ.

მაკა ჯინჯოლია: „პოლიტიკაში მოვდივარ სუფთა ისტორიით"...

გვ. 3

აპოლონ გარუჩავა: „გამგებელს პრეზიდენტზე მეტი უფლება აქვს თავის გამგეობაში"...

გვ. 3

მერობის კანდიდატები მოქალაქეთა მიერ დასმულ კითხვებს პასუხობენ

გვ. 4

გაზეთი საარჩევნო რეკლამისთვის გვერდებს დაუთმობს თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და მაჟორიტარ კანდიდატებს. დაგვიკავშირდით:

ქ. ფოთი, 26 მაისის № 7

ტელ: (0493) 22 25 81, 599 34 14 17

განათავსეთ რეკლამა ჩვენთან!!!

ტურისტებისთვის ფოთი მიმზიდველი ხდება

გვ. 6

ლაშა კუჭავა: „საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დითირამბს უგალობს „ქართულ ოცნებას"...

გვ. 6

ქალთა ჩართულობა 2017 წლის არჩევნებზე

ივეტა პაჭკორია
ხობი

ბოლო წლებში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ქალთა ჩართულობა პოლიტიკაში კვლავ მცირეა.ფოთში, გასულ წლებთან შედარებით,

2017 წლის თვითმართველობის არჩევნებში ქალ პოლიტიკოსთა ჩართულობა უპრეცენდენტოა. შვიდი მერობის კანდიდატიდან სამი ქალია.

ქალი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში, 1975 წლის შემდეგ, პირველი შემთხვევა იქნება, როდესაც ქალი, ქალაქის მართველობას ჩაუდგება სათავეში.

გასული არჩევნების ქრონოლოგიას თუ გადავხედავთ,2014 წლის თვითმართველობის არჩევნებში 8 მაჟორიტაობის კანდიდატი და ერთი მერობის კანდიდატი იყო, რომელმაც რეგისტრაციიდან, რამდენიმე დღეში მოხსნა კანდიდატურა. მართალია, მაჟორიტარების რაოდენიბა არც 2017 წლის არჩევნებისათვის შეცვლილა და ის, კვლავ 8 ქალია, მაგრამ ფინანსურმა დაინტერესებამ, პროპორციულ სიაში ქალთა რაოდენობა საგრძნობლად გაზარდა.

ფოთში პროპორციული წესით რეგისტრირებული – 182 კანდიდატიდან -72 ქალია, მაჟორიტარული წესით კი, 53 კანდიდატიდან მხოლოდ 8 ქალია.

არჩევნებში ჩართული პარტიებიდან მაჟორიტარულ ოლქში, თითქმის ყველა პარტიამ წარადგინა ქალი კანდიდატები, გამონაკლისი „შენების პარტია" აღმოჩნდა, რომელსაც ქალი კანდიდატი არც მაჟორიტარულ ოლქში ყავთ და არც პროპორციულ სიაში. ამ მხრივ, საუკეთესო მაჩვენებელი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსსა" და „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბოლისტთა კავშირს" აქვს, რომელსაც პროპორციულ სიაში 5-5 კანდიდატი ყავს. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს", მერობის კანდიდატიც ქალი ყავს. „ბაქრაძე, უგულავა- ევროპული საქართველოს", „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველოს", „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას" და „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზას" სიის ათეულში 4-4 კანდიდატები ყავთ. მართველი პარტია მხოლოდ 2 კანდიდატით შემოიფარგლა.

2017 წლის 25 სექტემბრის ცესკოს მონაცემებით, მთელი საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულია 53.76% ქალი ამომრჩეველი. რაც შეეხება კანდიდატებს, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე წარდგენილია 63.12% მამაკაცი და მხოლოდ 36.88 % ქალი. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე კი, წარდგენილი კანდიდატებიდან მხოლოდ 16.30 % ქალი.

რაც შეეხება რეგიონს აქ შედარებით ნაკლები ჩართულობაა. რეგიონებში პროპორციული წესით წარდგენილია 36. 13% ქალი, 63.87% მამაკაცი; მაჟორიტარული წესით – 15.61% ქალი, 84.39% მამაკაცი.

მიუხედავად იმისა,რომ 2010 წლის მარტში პარლამენტმა მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ" ქალების ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში კვლავ მცირეა. ფოთში გამოკითხულ მამაკაცთა უმრავლესობის აზრით, თავად ქალთა ნება არ არის პოლიტიკაში მოსვლა, ნაწილისათვის კი, ქალს სათანადო ძალა და

ხასიათის სიმტკიცე არ გააჩნია. არადა, მამაკაცთა უმრავლესობას ავიწყდება ერთი მარტივი თეორია, რომ ყველა წარმატებული კაცის უკან, ძლიერი ქალი დგას, სწორედ, ქალთა მხრებზე გადის საქართველოს ეკონომიკური სიდუხჭირე.

ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, მიიჩნევენ, რომ საარჩევნო პროცესისადმი ქალების დაბალი ინტერესი, მათი საჭიროებების გაუთვალისწინებლობით არის გამოწვეული. კერძოდ, ქალ ამომრჩეველთა ნაწილი ფიქრობს, რომ მათი ხმა პრიორიტეტული არ არის; ისინი მეორეხარისხოვნები არიან მამაკაცებთან შედარებით; პოლიტიკა არ არის ქალის საქმე და მათთვის არაფერი შეიცვლება.

გენდერული უთანასწორობის ინდექსის მიხედვით, საქართველო გამოკითხულ 137 ქვეყანას შორის 71-ე ადგილს იკავებს.

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამეტი" ფარგლებში.
ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას.
შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია -
599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი
ივეტა პაჭკორია -
597 97 76 18

კორექტორი:
მაია ჩხეიძე
551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია -
579 24 11 22

ქეთი ჩებანი
(ფოთი)
598 40 10 23

ივეტა პაჭკორია
(ხობი)
568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ფოთში მაჟორიტარულ კანდიდატებსა და პარტიების წარმომადგენლებს შორის დისკუსია გაიმართა

თეკლა მატკავა
ფოთი

ფოთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, პროექტის "ქალის ხმა იგებს არჩევნების" ფარგლებში დისკუსია გაიმართა. დისკუსიაში მონაწილეობისათვის მოწვეულნი იყვნენ მაჟორიტარობისა და მერობის კანდიდატი მამაკაცები, მაგრამ შეხვედრაზე არც ერთი მერობის კანდიდატი გამოცხადდა, რის მიზეზადაც მოახლოებული არჩევნები დაასახელეს. მსგავსი შინაარსის შეხვედრა ადრეც მოეწყო მაჟორიტარობის და მერობის კანდიდატ ქალებთან, რომელიც ფოთის მედიაცენტრის ორგანიზებით გაიმართა. აღნიშნული პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMW) ACCESS და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

ფოთის მედიაცენტრის დირექტორის ინგა გვასალიას განმარტებით, ორგანიზაციამ ორი თვის განმავლობაში ამომრჩეველ ქალთა საჭიროებების იდეტიფიცირებისა და დადგენის მიზნით, საქართველოს 8 რეგიონში გამართა შეხვედრები და დისკუსიები.

ფოთში გამართულ შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შშმ პირებისა და დევნილი ქალების საჭიროებების იდენტიფიცირებას. მოკვლევის შედეგად გამოვლინდა ქალთა სხვადასხვა სახის საჭიროებები. ფოთში მცხოვრებ ყრუთა და სმენადაკარგულთა კავშირის ბენეფიციარებს რამდენიმე სერიოზული საკითხის გადაწყვეტა ესაჭიროებათ - კომუნიკაციის პრობლემა ერთმანეთთან, მათ არ აქვთ ტელეფონის შესაძენი სახსრები. ასევე, ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს კავშირში თარჯიმნის სიმცირე - მხოლოდ ერთი მამაკაცი თარჯიმანი ჰყავთ, რომელიც ერთდროულად ყველა ბენეფიციარს ვერ ემსახურება. შშმ პირები (ქალები) ითხოვენ ქალი თარჯიმნის დანიშვნას, რადგან არსებობს ისეთი უხერხული საკითხები, რომელზეც მამაკაც თარჯიმანთან ვერ საუბრობენ. კავშირის ბენეფიციარები ადგილობრივ ხე-

დასასრული 6-გვ.

ფოთში ოპოზიციონერი პარტიის წარმომადგენლები სიებში არარსებული ქუჩების გამოჩენას აპროტესტებენ

დასაწყისი პირველი გვერდიდან

კოორდინატორების მეშვეობით აქტიურად მუშაობს სიების დაზუსტებასა და ხარვეზების აღმოფხვრაზე. გარდაცვლილების სიებში ყოფნა, უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და გამოუსწორებელ პრობლემად რჩება. სიებში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც საერთოდ არ ცხოვრობენ ფოთის ტერიტორიაზე, მეტიც, სიებში გვხდება ასევე არარსებული მისამართები. ცესკოს ვებგვერდზე აღმოვაჩინეთ, რომ კუნძულის უბანში იყო ორი დანელიას ქუჩა, ერთი ალექსანდრე დანელიასი და ნმეორე ამირანის. რეალურად მართლა არსებობს ორი დანელიას ქუჩა ფოთში, თუმცა კუნძულის უბანში ერთია ამირან დანელიას ქუჩა და მეორე პარკის უბანშია სერგი დანელიას ქუჩა, ხოლო ალექსანდრე დანელიას ქუჩა არათუ კუნძულის უბანში არამედ ფოთშიც კი არ არსებობს. არადა რამდენიმე ადამიანი რეგისტრირებულია ალექსანდრე დანელიას ქუჩაზე, ჩვენ ფიზიკურად ვერ ვიპოვეთ სად არის აღნიშნული ქუჩა".

გაყალბების მცდელობაზე საუბრობს მერობის კანდიდატი ოთარ ხარჩილავაც: „ზოგადი სურათი ასეთია, ამას თუ ვერავინ ხედავს ეს იქნება თვალის დაბნელება. დამატებულია შენობები, ქუჩები, შეცვლილია მისამართები, ეს ყველეფრი პირდაპირ მეტყველებს გაყალბების მცდელობაზე, სხვა მიმართულებას რომმინდოდეს აქ პოვნა ვერ ვიპოვი. ეს არის ჭეშმარიტება, რომ ხელისუფლება ემზადება გასაალბებლად"

დანარჩენი პოლიტიკური პარტიებიც ანალოგიურ ფაქტებზე საუბრობენ და იმასაც ამატებენ, რომ საოლქო კომისია ამ ხარვეზების არათუ გამოსწორებას აპირებს, საერთოდ არ რეაგირებს ოპოზიციონერთა შენიშვნებზე, იმ არგუმენტის მომიზეზებით, რომ ეს საოლქოს მიერ დაშვებული ხარვეზი არაა. აღნიშნულთან დაკავშირებით 70-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებენ.

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამეტი" ფარგლებში. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

მაკა ჯინჯოლია: „პოლიტიკაში მოვდივარ სუფთა ისტორიით„...

თეკლე მაჭკავა
ფოთი

„ნაციონალური პარტიის“ მერობის კანდიდატი მაკა ჯინჯოლავა პოლიტიკაში პირველ ნაბიჯებს დგამს და პირდაპირ მერის სავარძლისათვის “შეურიგებელ” ბრძოლას აპირებს. იგი პროფესიით პედაგოგი გახლავთ და მისი უმთავრესი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მიგრაციის შეჩერება და ქალაქში მათი დამკვიდრება.

– რამ გადაგაწყვეტინათ პოლიტიკაში მოსვლა?

– ფოთს წლების განმავლობაში სხვადასხვა კანდიდატებისგან ბევრი დაპირება ახსოვს, მაგრამ არაფერი გაკეთებულა ქალაქის წინსვლისთვის. როგორც წესი, დაპირება არჩევნების მერე დავიწყებას ეძლეოდა. მე არ გავურბივარ ცხრა წლიანი მმართველობის პასუხისმგებლობას, მაგრამ ვარ პატიოსანი ადამიანი, სუფთა წარსულით. აქამდე პოლიტიკასთან შეხება არ მქონია. მოვდივარ განახლებული გუნდით. ქალაქში არის ნეპოტიზმი, ტენდერები სამართლებრივ ჩარჩოებსაა აცდენილი, ხალხის პრობლემების მიმართ ინდიფერენტული მიდგომაა, რაც ტრაგედიაა ჩემთვის. როგორ შეიძლება არ გტკიოდეს, არ გაინტერესებდეს სხვისი სატკივარი, გასაჭირი. ამას მივყავართ დასასრულამდე.

– ის, რითაც ამაყობთ...

– პედაგოგობა თავისთავად საამაყოა. გარდა იმისა,რომ ვარ საჯარო სკოლის მასწავლებელი, ასევე ვასწავლი სხვადასხვა საზაფხულო სკოლაში. ერთ-ერთია ძალიან პრესტიჟული ბაქსვუდის საზაფხულო სკოლა. ჩემს მოსწავლეებს ვეხმარები სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობაში, რათა გაიკვლიონ გზა ევროპისკენ. ინგლისური ენის სპეციალისტი ვარ, ვსწავლობდი ამერიკაში, ევროპაში. მინდა ჩემმა მოსწავლეებმაც გამოცდილება საზღვარგარეთაც მიიღონ. ამიტომ ვეხმარები მათ სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებაში. ერთ- ერთ ასეთ კონკურსზე ჩემმა მოსწავლემ გაიმარჯვა და მალე ლიტვაში მიემგზავრება. ვმუშაობდი არასამთავრობო ორგანიზაცია “ცენტრი აფხაზეთი”. ჩვენი ორგანიზაციის ბენეფიციარები იყო დევნილი ახალგაზრდობა, რომლებთაც სრულიად უსასყიდლოდ ვასწავლიდით ინგლისურ ენას, კომპიუტერურ უნარ-ჩვევებს. ორგანიზაციაში იყო მშვიდობის კორპუსის მოხალისე, რომელთან ერთადაც გავაკეთე ნაბადის მესამე ბადი. ბადში შეჩერებული იყო სასწავლო პროცესი სანიტარული ნორმების დარღვევის გამო. გავაკეთეთ პროექტი, დავხარჯეთ 1400 ევრო ზე მეტი და ბადი ავამუშავეთ.

– პირველი, რასაც გააკეთებთ, თუ ფოთის მერი გახდებით...

– შეიძლება ჩემი პასუხი ცოტა ბანალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ძალიან მაწუხებს გადათხრილი ქუჩები, მოუწესრიგებელი მიწისქვეშა კომუნიკაციები. ჩავატარებ გამჭირვალე ტენდერს, მოვიზიდავ გამოცდილ, კვალიფიციურ მუშახელს, რომელიც ხარისხიანად შეასრულებსსამუშაოს. იმ ქუჩებზე, სადაც გადათხრილია გზა და შეუძლებელია გადაადგილება, მოვახდენ ხელახალ ასფალტირებას. მძიმე მდგომარეობაა და სასწრაფო ყურადღებას საჭიროებენ დევნილები. ამასწინათ შეხვედრა მქონდა დევნილ მოსახლეობასთან. მათთან საუბარში ძალიან ბევრი პრობლემა გამოიკვეთა - მძიმე სოციალური ფონი, უმუშევრობა. მათ მე განვუმარტე და ვუთხარი,რომ ჩემთვის მთავარი საქმე იქნება მალთაყვის სანაპირო ზოლი, სადაც განხორციელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები, გაჩნდება სასტუმროები, კომერციული ფართები, რაც საშუალებას მისცემს მათ იშოვონ სამუშაო ადგილი და შეძლონ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ძალიან დიდ იმედს ვამყარებ მალთაყვაზე.

– მერობის შემთხვევაში, გეგმავთ თუ არა შეჩერებული პროექტების განხორციელებას?

– თუ ეს პროექტი ბევრ სამუშაო ადგილს, კეთილდღეობას, გაუმჯობესებულ ცხოვრებას მოუტანს ქალაქის მაცხოვრებლებს, რატომაც არა - აუცილებლად განვახორციელებ. ვაპირებ სამომავლოდ ყველა პარტიასთან თანამშრომლობას. გარდა პრორუსული ძალების მქონე პარტიებისა. მე პირადი დამოკიდებულება მაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, აფხაზეთიდანდევნილი ვარ, ომგამოვლილი ბავშვი, რომლის მეხსიერებაში ღრმადაა დალექილი ის მტკივნეული პერიოდი. ამიტომ რუსეთი ჩემთვის არის ოკუპანტი ქვეყანა.

– კანდიდატებიდან კონკურენტად ვის მიიჩნევთ?

– კონკურენტად არავის. ეს არ არის ამბიციური განაცხადი. ვფიქრობ, ჩემი ერთ-ერთი სიძლიერე ისაა, რომ პოლიტიკაში მოვდივარ სუფთა ისტორიით, კონკურენტი კანდიდატებისგან განსხვავებით, რომლებიც წლების განმავლობაში პოლიტიკაში მოღმაწეობდნენ.

– ქალი კანდიდატი, რითი განსხვავდება მამაკაცი კანდიდატისგან?

– ამ საკითხის დიფერენცირებაზე არ მიფიქრია. თუმცა, ვფიქრობ, ქალი უფრო მეტ კომპრომისზე წავა,ძალიან დიდხანს იფიქრებს და მიიღებს სწორ და მართებულ გადაწყვეტილებას. მამაკაცები ბუნებით ხისტები არიან, სწრაფად იღებენ გადაწყვეტილებას და ხშირ შემთხვევაში ცდებიან კიდეც.

აპოლონ გარუჩავა: „გამგებელს პრეზიდენტზე მეტი უფლება აქვს თავის გამგეობაში„...

ივეტა პაჭკორია
ფოთი

“შენების მოძრაობის” სენაკის მერობის კანდიდატი აპოლონ გარუჩავა წარმატებული სამშენებლო ბიზნესიდან პოლიტიკაში გადასვლას აპირებს. ეს მისი დებიუტი ნამდვილად არ გახლავთ. გასულ საპარლამენტო არჩევნებშიც მიიღო მონაწილეობა და ხმების გარკვეული რაოდენობაც დააგროვა, თუმცა გასამარჯვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ახლა ბედს ადგილობრივ არჩევნებში ცდის და გამარჯვების იმედიც აქვს. როგორც ამბობს, სენაკელები სწორედ მას აირჩევენ თავიანთ მერად.

-რატომ გადაწყვიტეთ ბიზნესიდან პოლიტიკაში გადასვლა?

- გეტყვით, რომ ბიზნესიდან არ წავსულვარ. პარარელურად ჩართული ვარ საქმეში. პოლიტიკაში გადასვლის სხვა მიზეზი რა უნდა იყოს, გარდა იმისა, რომ ჩვენს რაიონში არაფერი გაკეთებულა და არც კეთდება რამე რაიონისა და ხალხის საკეთილდღეოდ. ჩემი ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი და მიზანია, ვემსახურო ჩემს რაიონსა და ხალხს. 9 გამგებელი ჰყავდა სენაკის რაიონს 25 წლის განმავლობაში და მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა.

- კონკრეტულად რას გულისხმობთ, რა არის ის მნიშვნელოვანი, რამაც ასე იმოქმედა თქვენზე და გადაგაწყვეტინათ პოლიტიკური მოღვაწეობა დაგეწყოთ?

-ძირითადი საკითხი უმუშევრობაა. დასაქმების პრობლემა მარტო სენაკის მოსახლეობას არ აწუხებს, მართალია, მაგრამ ამ კუთხით ჩვენ ქალაქში არაფერი გაკეთებულა. ასევეა ინფრასტრუქტურული პროექტები. სენაკს ძალიან დიდი პოტენციალი აქვს ამ კუთხით. მაგალითად, მენჯის ტერიტორია, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს განთქმული იყო, დღეს განადგურებულია. მოგეხსენებათ, როგორი უნიკალური კურორტი იყო. ნოქალაქევს უნდა მიეცეს ის ისტორიული დანიშნულება, რომელიც რეალურად ეკუთვნის, ახალი სოფლის მიმდებარედ კოლხეთის ნაკრძალია, რომელიც კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორია გახლავთ. აქ შეიძლება ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, ტურისტების მოზიდვა, დაბინავება, გამასპინძლება. ეს გარკვეული შემოსავალი იქნება ჩვენი მოსახლეობისათვის. ძალიან დამაფიქრებელია სოფლის მეურნეობის მიმართ უყურადღებობა. სენაკში ბევრია სრულიად აუთვისებელი სახნავ-სათესი მიწის ფართობები. მეტი კონკრეტიკისთვის გეტყვით, რომ სენაკში ერთადერთი ადამიანი ვარ, რომელმაც აქცია მოაწყო ფაროსანას გამო. ასევე, ვიმყოფებოდი ზუგდიდშიც. ვითხოვდით დროულ შეწამვლას და ზარალის ანაზღაურებას ისევე, როგორც მოხდა კახეთში და იმერეთში. სტიქიით მიყენებული ზარალი აუნაზღაურეს მოსახლეობას. სამეგრელო კი მივიწყებული და მიგდებულია ხელისუფლების მხრიდან.

–დანარჩენი კანდიდატებისგან რა განგასხვავებთ, რატომ უნდა დაგიჭიროთ მხარი ამომრჩეველმა?

–გამოვირჩევი საქმის სიყვარულით. ვიცი საქმის კეთება, ისიც ვიცი, რა უნდა ვაკეთო. მიყვარს ჩემი ქალაქი და ხალხი და გული შემტკივა მათზე. არ ვარ პოლიტიკური ტურისტი, არც პოლიტიკური ყვარყვარე. მაქვს ჩემი პრინციპები. არასოდეს ვთამაშობ პოლიტიკოსობანას, რასაც მიჩვეულია ყველა კანდიდატი 25 წლის განმავლობაში.

-თქვენი გამარჯვების შემთხვევაში რას გააკეთებთ კონრეტულად, რა არის თქვენი პრიორიტეტები?

–ძალიან ამბიციური საარჩევნო პროგრამა მაქვს. ვეცდები ყველაფერი შევასრულო, მაგრამ მინიმუმ 50% უსიკვდილოდ შევასრულებ. მოვიზიდავ ინვესტორებს. არიან სენაკიდან გადახვეწილი ადამიანები, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა სენაკის განვითარებისთვის ინვესტიცია გაიღონ. განვმეორდები და ვიტყვი, რომ სენაკს აქვს ძალიან დიდი პოტენციალი ტურიზმის განვითარების კუთხით - მენჯი, ნოქალაქევი, ახალისოფლის ტერიტორია, ფუნიკულიორი. აქ შესაძლებელია საკურორტო ზონების მოწყობა, სადაც აშენდება 10 სასტუმრო კომპლექსი ტურისტებისათვის, რაც დამატებით შემოსავლს მოუტანს რეგიონს. 2500 ჰექტარი აქვს სენაკს კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის, ხოლო ფოთს 500, სადაც შეიძლება გაკეთდეს ნაკრძალი.

–ირწმუნებით, რომ რეალურია დაპირება, რომ 100 000 ადამიანისთვის შეიქმნება სამუშაო ადგილი?

–არარეალური ნამდვილად არ არის იმიტომ, რომ წარსულში, კომუნისტების დროს, სენაკში მუშაობდა 6000 ადამიანი ხალიჩების ფაბრიკაში. რა თქმა უნდა, ხალიჩების ინდუსტრია ვერ განვითარდება კვლავ, ყველაზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნა შესაძლებელია წვრილ საწარმოებში. უნდა განვითარდეს მცირე ბიზნესი, რასაც ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობა ჭირდება. ვგეგმავთ,ყველა სოფელში გაიხსნას საცხობები, აფთიაქი. არის კომპანიები, რომლებიც დაინტერესდებიან ამ პროექტით. იმ შემთხვევაში, თუ ვერ გავიმარჯვე არჩევნებზე, მაინც ვგეგმავ მომავალ წელს ამ პროექტის გახორციელებას, ასევე, ვაპირებ კოოპერატივის გახსნას ყველა სოფელში, რომელიც ჩაიბარებს სოფლის ნაწარმს ქალაქის ფასად, რაც ტრანსპორტის ხარჯებს აარიდებს სოფლების მოსახლეობას.

–როგორ შეძლებთ ადგილობრივი ბიუჯეტის გაზრდას, ან ამ პროექტების განხორციელებას რა თანხებით გეგმავთ?

–უპირველესად, ადმინისტრაციული ხარჯების გამოთავისუფლებით, 4 მილიონ 900 000 გახლავთ “უაზრო” ხარჯი.

– 4 მილიონი არ ეყოფა თქვენი საარჩევნო პროგრამის განხორციელებას...

–გეთანხმებით, 4 მილიონი ნამდვილად არ ეყოფა, მაგრამ მოხდება ზოგიერთ სფეროში კერძო ინვესტორის ჩამოყვანა, მათი ჩართულობა. წინასწარ გეუბნებით, რომ 50% შევასრულებ. სენაკში აშენებული მაქვს კომერციული დანიშნულების 12 შენობა. ვგეგმავ, გაიხსნას ფუნიკულიორი სრული კომფლექსით. მანდვეა ტბა, რომელიც დამშრალია და ვაპირებ მის აღდგენას. ბოტანიკური ბაღი ჩხარის ტერიტორიაზე

ბუნებრივად არსებობს და შეიძლება მისი გალამაზება. ასევე, ტროპიკული კუნძულია ნოქალაქევში, სადაც შეიძლება დასვენება - გართობა მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ სეზონზე.

-თუ ასეთი პოტენციალი გააჩნია სენაკს, რატომ არ დაინტერესდნენ ინვესტორები აქამდე?

–საინვესტიციო გარემო გახლავთ ძალიან ცუდი, ამიტომაც არ არის მაღალი ინტერესი, რასაც გამოსწორება ჭირდება.

– ამბობთ, რომ მერად არჩევის შემთხვევაში, ბიზნეს გარემოს უფრო მიმზიდველს გახდით კერძო სექტორისთვის?

–მქონდა პროექტები, რომლის განხორციელებისთვის ჩამოვიყვანე სამი ინვესტორი, მაგრამ გაიქცნენ, რადგან გამგებელთან ვერ შევთანხმდით და ის გარანტიები ვერ მივიღეთ, რომელიც სჭირდებოდა საქმესთან დაკავშირებით. ასევე საინტერესო და მსუყე სოციალური პროგრამა გვაქვს. პენსიის ზრდა მოხდება არსებული ბიუჯეტით,

– გაიმარჯვებთ თქვენ თუ სხვა ოპოზიციური პარტია, სამთავრობო მმართველობაში სხვა პოლიტიკური ძალაა, რომელიც საბოლოო სათქმელს ამბობს ხოლმე. რამდენადაა შესაძლებელი კონსენსუსის მიღწევა ამ ორ ძალას შორის?

–გამგებელს ,კანონით, პრეზიდენტზე მეტი უფლება აქვს თავის გამგეობაში. ასე რომ, ეს ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

მერობის კანდიდატები მოქალაქეთა მიერ დასმულ კითხვებს პასუხობენ

გაზეთმა „მთავარი თემა სამეგრელოში" წინასაარჩევნო გამოკითხვა ჩაატარა – რა კითხვას დაუსვამდით მერობის კანდიდატებს?. აღნიშნული გამოკითხვა ჩატარდა როგორც სოციალური ქსელით, ისე პირდაპირი ინტერვიუს მეთოდით ქალაქის მოსახლეობაში. გამოკითხვისას გამოიკვეთა ის პრობლემები, რაც ყველაზე მეტად აწუხებთ ფოთელებს. მიღებული კითხვებიდან შეირჩა ის ორი კითხვა, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებდათ ჩვენ თანაქალაქელებს. სწორედ ეს კითხვები დავუსვით დისკუსიაზე მყოფ მერობის მსურველებს. როგორ, რა გზებითა და ხერხებით აპირებენ ისინი ამ პრობლემების მოგვარებას.

მაია ჩხარტიშვილი

გოჩა კურდღელია

– ჩვენი გაზეთი მუდამ ინტერესდება მოსახლეობის პრობლემებით, ხშირად ატარებს გამოკითხვას და გამოიკვეთა, რომ ფოთელებს ძალიან აწუხებს ქალაქში რეფერალური საავადმყოფოს პრობლემა. სხვა რეგიონში მიდიან სამედიცინო მომსახურებისათვის, რადგან ჩვენს საავადმყოფოში ელემენტარულიპირობები არ არსებობს გამოკვლევების სრულყოფილად ჩასატარებლად. გამარჯვებვის შემთხვევაში, აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას?

დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი

კარგად ვიცი, რომ ფოთში სამედიცინო მომსახურება კატასტროფულ დონეზეა. არჩევის შემთხვევაში, ამ საკითხზე პირველი ის იქნება, რომ ჩვენი ინიციატივით და ჯანმრთელობის სამინისტროს მხარდაჭერით, მოვითხოვთ, გამყიდველი მხარის-ეკონომიკის სამინისტროს ქონების ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო. უხეშად ირღვევა ხელშეკრულების პირობები პროფილით მუშაობის მიმართულებითაც. დავები გაგრძელდება და ამ პერიოდისთვის აუცილებლად ვიზრუნებ ალტერნატივაზე, მაგალითად ემერჯენსის კლინიკის გახსნაზე. ამ თემაზე ძალიან ბევრი ვიმუშავე. სალიცენზიო პირობები დამაკმაყოფილებელი გვაქვს. ტერიტორია არის და შენობის პროექტიც მზადაა, მესამე საკითხია სამედიცინო სერვისების ადგილზე მიწოდება, ანუ სოციალური სააგენტოს თუნდაც ერთი ოპერატორი მაინც უნდა იყოს ქალაქში, რომ ფოთელებს არ ჭირდებოდეთ საყოველთაო დაზღვევისათვის ზუგდიდში ან სხვა ქალაქში წასვლა. ეს აუცილებლად მოსაგვარებელია და მოვაგვარებ კიდეც.

მიმაჩნია, რომ ჯანდაცვის რეფორმა, საყოველთაო დაზღვევისა და ც ჰეპატიტის ელიმინაციის უპრეცედენტო პროგრამების ჩათვლით, აღსანიშნავია, რომ ფოთში, მხოლოდ 2016 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით 13, 3 -ათასმა ადამიანმა ისარგებლა, რაზეც 3,1 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

ჩვენს ქალაქში სოციალური კუთხით სხვადასხვა სოციალური პროექტი ხორციელდება- მოსახლეობის სტაციონარული მომსახურების პროგრამა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირება, მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, გინეკოლოგიური დაავადებათა გამოკვლევათა და პროფილაქტიკის პროგრამა, აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა, სოციალურად დაუცველი ოჯახების კომუნალური სუბსიდირების პროგრამა და ა.შ.

ვპირდები ჩვენს მოსახლეობას, რომ ჩვენი ქალაქის ბიუჯეტი მანამ, სანამ მკვეთრად არ შემცირდება უმუშევრობა ქალაქში, ორიენტირებული იქნება სოციალურ პრობლემებზე. ჩვენ არასდროს არ მოვაკლებთ ყურადღებას ხანდაზმულ ადამიანებს, ვეტერანებს, მრავალშვილიან ოჯახებს, იმ პირებს ვისაც მკურნალობაზე დახმარება სჭირდება.

–ფოთში ბევრი პრობლემაა სასწრაფოდ მოსაგვარებელი. ერთ-ერთი მათ შორის ახალგაზრდების გადინება წარმოადგენს. ჩვენს ქალაქში არ არის პირობები ახალგაზრდების დასაინტერესებლად, მათი დასაქმება პრობლემაა. როგორ გესახებათ ამ პრობლემის მოგვარება?

ახალგაზრდობის საკითხი მართლაც პრობლემაა. ვგეგმავ ამ კუთხით მუშაობას. გეგმაში გვაქვს სასწავლო უნივერსიტეტის გახსნა, ასევე ახალგაზრდული ცენტრის დაარსებას ვაპირებთ. ახალგაზრდული პოლიტიკა უნდა გატარდეს - ეკოლოგიური პრობლემები, ჯანსაღი ცხოვრების წესი, სოციალური საწარმოების გახსნა. ცენტრს აქვს სამი მიმართულება - განათლება, დასაქმება და მობილობა, ჯანმრთელობა. ცენტრის ამოქმედების შემდეგ საშუალება გვექნება ჩავერთოთ მოხალისეობისა და სკაუტების პროგრამაში. შესაძლებელია გაცვლითი პროგრამების განხორციელება. საზღვარგარეთიდან ჩამოვლენ მოხალისეები, ჩვენი ახალგაზრდები კი საზღვარგარეთ წავლენ. ეს იქნება უზარმაზარი გამოცდილება. ამას გარდა, ქალაქი გამოცოცხლდება. აღმასრულებელ ხელისუფლებაში უნდა შეიქმნას პროექტების კოორდინატორის მინიმუმ ორი პიზიცია. არსებობს ბევრი საერთაშორისო პროექტი, რომლებშიც ახალგაზრდები ჩაერთვებიან.

ახალგაზრდების გადინება არამარტო ქალაქიდან, ქვეყნიდანაც ძალიან მტკივნეული საკითხია და სასწრაფო მოგვარებას საჭიროებს. ქალაქში უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, სადაც დასაქმდებიან ახალგაზრდები და შეძლებენ ღირსეულად მუშაობას. დამაგრდებიან თავიანთ მშობლიურ ქალაქში და მის განვითარებაზე იზრუნებენ. ქალაქში პროფესიული განათლების თვალსაზრისით წინსვლა გვაქვს, ძალიან კარგი კოლეჯი ფუნქციონირებს. რაც შეეხება გასართობ ადგილს - დაგეგმილია საცურაო აუზისა და სპორტული კომპლექსის მშენებლობა. არის სხვა პროექტებიც, მაგალითად ახალგაზრდული ბიბლიოთეკის გახსნა. სხვა მრავალი პროექტის განხორციელებაც შესაძლებელია. ახალგაზრდები უნდა ჩაერთონ ქალაქის ცხოვრებაში, იაქტიურონ, მოითხოვონ. საქმე უნდა ვაკეთოთ ერთად. გაქცევა გამოსავალი ნამდვილად არ არის.

დისკუსია მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატებთან

მერობის კანდიდატები მოქალაქეთა მიერ დასმულ კითხვებს პასუხობენ

ვახტანგ დარცმელიძე

საარჩევნო ბლოკი ,,ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო,,

მაკა ჯინჯოლავა

საარჩევნო ბლოკი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა,,

ოთარ ხარჩილავა

საარჩევნო ბლოკი ,,დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო

მიუხედავად იმისა რომ სავადმყოფო კერძოა, ქალაქის ხელმძღვანელობა უნდა დაინტერესდეს შექმნილი მდგომარეობით. უმთავრესი ინვესტორთან და კერძო კომპანიებთან უნდა გვქონდეს კარგი ურთიერთობა. ქალაქის მერი უნდა შეწუხდეს ქალაქში არსებული პრობლემების მოგვარებით. მერობის შემთხვევაში ჩემთვის უპირველესი ხალხთან და ინვენსტორებთან მოლაპარაკების გზით პრობლემების მოგვარება იქნება.

ჩემი საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ვგეგმავ ქალაქის საავადმყოფოს პერსონასაც ვეწვიო და ადგილზე გავეცნო იქ არსებულ პრობლემებს. გამარჯვების შემთხვევაში ვეცდები მოვაგვარო ეს საკითხი. მე არ მქონია შეხება ადგილობრივ ექიმებთან, მაგრამ ხშირად მსმენია უკმაყოფილო შეფასებები ჩვენი მოქალაქეებისგან. ყველა პრობლემას თავისებური მიდგომა და გადაჭრა სჭირდება. გადაუმოწმებელი ფაქტებით და მხოლოდ გაგონილით, შეფასებას ვერ გავაკეთებ. ყველაფრის დეტალური შესწავლა უნდა მოხდეს. მტკნარი სიცრუე იქნება, გავცე დაპირება რომ ერთ წელიწადში ყველა პრობლემას მოვაგვარებ, ეს არარეალურია, ამას ჭირდება როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსი. ძალიან შრომატევადი პროცესია და მოგვარებასაც ექვემდებარება.

უპირველესად ქალაქს უნდა დაეთმოს დრო და მიექცეს ყურადღება. სავალალო მდგომარეობაა სამედიცინო მომსახურების კუთხით. მედიცინა არა თუ ვითარდება, არამედ რეგრესს განიცდის. ქალაქში არის მედპერსონალი, რომელიც ცარიელ ენთუზიაზმზე მუშაობს ძალიან რთულ პირობებში, რადგან არ არის შესაბამისი აპარატურა და პირობები. აუცილებლად უნდა მოგვარდეს ეს საკითხი ჯანდაცვის სამინისტროსთან მჭიდრო კომუნიკაციით, შესაბამისი ადამიანების ჩართვით. ქალაქში აუცილებელია ნორმალური განვითარებული და თანამედროვე ჯანდაცვის სისტემა.

პირველი და აუცილებელი ეს იქნება საზღვაო სასწავლებლის გახსნა ფოთში. ფოთი საზღვაო ქალაქია და დასაქმებაც ძირითადად ამ კუთხით ხდება, შესაბამისად აუცილებლად უნდა იყოს საზღვაო სასწავლებელი. ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის უნდა იყოს ფასიანი სტაჟირება თვითმართველობაში, თუნდაც მიზერული ხელფასებით. უნდა შეიქმნას წამახალისებელი სისტემა ნიჭიერი მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. მათ უნდა მიეცეს ქალაქში დაბრუნების საბაბი. ასევე აუცილებელია ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია, უნდა გაკეთდეს ატრაქციონები მაგრამ რეალური ფასი უნდა იყოს. მშობელს პარკში შვილის შეყვანის არ უნდა ეშინოდეს.

ეს ჩემი საყვარელი საკითხია. ახალგაზრდებთან 2000 წლიდან მაქვს შეხება. საჯარო სკოლის მასწავლებელი ვარ, ინგლისური ენის სპეციალისტი გახლავართ. ვასწავლი სხვადასხვა საზაფხულო სკოლაშიც, მათ შორისაა ძალიან პრესტიჟული ბაქსვუდის საზაფხულო სკოლაც. ჩემს მოსწავლეებს ვეხმარები სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობაში, რათა გზა გაიკვლიონ უცხოეთში. მერობის კანდიდატად არჩევის შემდეგ გავიგე, რომ ფოთს ბევრ ევროპულ ქალაქთან აქვს მეგობრობის მემორანდუმი გაფორმებული. ვსწავლობდი ამერიკაში, ევროპაში და უამრავი უცხოელი მეგობარი მყავს. მათი დახმარებით აუცილებლად შევძლებ ფოთში რომელიმე ევროპული უნივერსიტეტის ფილიალის გახსნას ჩვენს ქალაქში, სადაც კვალიფიციური კადრები იქნება წარმოდგენილი.

ფოთი საზღვაო ქალაქია და აქ აუცილებლად უნდა იყოს საზღვაო სასწავლებელი. ფოთს ქვეყნის კარიბჭეს უწოდებენ, უნიკალური შესაძლებლობები აქვს და უნდა გამოვიყენოთ. უნდა გაიხსნას ორი უნივერსიტეტის ფილიალი, რაც ფოთს გადააქცევს სტუდენტურ ქალაქად. ეს თავისთავად ნიშნავს მეტ შესაძლებლობებს, მეტ მოთხოვნებს, ქმნის მეტ საცხოვრებელს, კაფე-ბარებს, ავტომატურად ნიშნავს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება-ხელშეწყობას.
ქალაქში უნიკალკური არქიტექტურის დიდი შენობა დგას ე.წ. ჰიდრომექანიზმების სასწავლებლის, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია. თვითმართველობამ უნდა გადასცეს ჯავახიშვილის უნივერსიტეტს აქ ფილიალის გასახსნელად, დაიდოს ხელშეკრულება, დაარსდეს ფილიალი კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით და გარანტირებული იქნება განათლების ხარისხი, იგივე ხარისხის მქონე სერთიფიკატით. სხვანაირად არაფერი გამოვა და ჩამოიშლება. ჩვენ ვფიქრობთ განვითარების საკითხებზე. დროა, ახალი ძალის, სიცოცხლის გაჩენის.
ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში მინიმუმ ერთ წელიწადში ან ფილიალი ანაც საზღვაო სასწავლებელი აუცილებლად გაიხსნება. ფოთი უნდა გახდეს სტუდენტური ქალაქი. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ ამას განვახორციელებთ. სხვანაირად ქალაქს პერსპექტივა არ აქვს.

დისკუსია მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატებთან

ივეტა პაჭკორია
ფოთი

სტატია ქვეყნდება "საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია" და ასოციაცია "დემოკრატიული აღმოსავლეთის" ერთობლივი პროექტის – "შენი მუნიციპალიტეტი, შენი ხმა" ფარგლებში.
ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების პოზიციას. შესაბამისად, "საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია" და ასოციაცია "დემოკრატიული აღმოსავლეთი" არ არიან პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე

DEMOCRATIC SOCIETY EAST
RITA Region in Transition
GRMA

ლაშა კუჭავა: ,,საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დითირამბს უგალობს ქართულ ოცნებას,,...

ივეტა პაჭკორია
ფოთი

სენაკში საარჩევნო გარემო, არჩევნებში მონაწილე სუბიექტები როგორც გვეუბნებიან, მშვიდია. მიუხედავად ამის აოპოზიციური პარტიები მართველ გუნდს, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაში ადანაშაულებენ. ნაციონალური მოძრაობის სენაკის რაიონულმა ორგანიზაციამ გაასაჩივრა „ქართული ოცნების"კლიპში სენაკის ერთ-ერთი საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მონაწილეობა. ნაციონალური მოძრაობის სენაკის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ლაშა კუჭავამ როგორც აღნიშნა ჩვენთან საუბარში: „ №38 საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უშანგი ჩილაჩავა მონაწილეობს „ქართული ოცნების" საარჩევნო კლიპში, რომელშიც ასევე მონაწილეობენ სხვადასხვა რეგიონის მომღერლები, ერთ-ერთია სწორედ უშანგი. საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პირდაპირ უმღერის სამთავრობო პარტიას. ამაზე მეტი დარღვევა რა უნდა იყოს? დავწერეთ საჩივარი სენაკის საოლქოში, მაგრამ 10 დღეა თავი ვერ დაადგეს. რა განხილვა უნდა, როცა ფაქტი სახეზეა – საუბნო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც არჩეულია ცესკოს კვოტით, მონაწილეობს წინასაარჩევნო კლიპში, ამის გარდა ფიქსირდება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტები. ჩვენ ინფორმაცია მივაწოდეთ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმდინარე დარღვევებზე. კონკრეტულად ა(ა)იპის თანამშრომელთა 80% არჩევნებშია ჩართული. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ჩვენი ხელისუფლების დროს ჩვენი მხარდამჭერები იყვნენ, დღეს კი „ქართული ოცნების" მხარდამჭერები გახდნენ. ასევე, საარჩევნო სიებში ძალიან ბევრია გარდაცვლილი ადამიანი". ''ნაციონალური პარტიის'' ლიდერი უბნების არათანაბარ დაყოფაზეც საუბრობს. სენაკში 21 საარჩევნო უბანია გახსნილი. კუჭავას თქმით „ქართულმა ოცნებამ" უბნები სუსტი და ძლიერი პოზიციების პრინციპით დაყო, რათა მომხრეების ხმებით გადაეფარათ სუსტი პოზიცია. ამდენად, არათანაბარ პოზიციაზე აღმოვჩნდით. არის კურიოზული სიტუაციაც - ყველაზე ახლობელი ადამიანები და ნათესავებიც კი ერიდებიან ჩვენთან ერთად დგომას და საუბარს. რადგან ყველაზე მინიმუმ სამსახურს დაკარგავენ ისევე, როგორც დაკარგა სამსახური მამაჩემმა, მეუღლემ და ყველა ჩვენი აქტივისტის ოჯხის წევრებმა".

სენაკის „პატრიოტთა ალიანსის" საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე როზმან ქამადაძე კი საუბნო კომისიებში თავმჯდომარედ მხოლოდ „ქართული ოცნების" წევრების არჩევაზე ამახვილებს ყურადღებას: „არც ერთ უბანში კომისიის თავმჯდომარე და მდივანი გარდა „ქართული ოცნების" წევრებისა, სხვა პარტიის წევრები არ არიან". ნაციონალურ მოძრაობას სენაკში 13 მაჟორიტარობის და პროპორციული სიის 20 კანდიდატი ყავს, ასევე მერობის კანდიდატი. ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებით „პატრიოთა ალიანს" მხოლოდ სამი მაჟორიტარი და 16 პროპორციული სიის კანდიდატი ყავს, ხოლო ორმა მაჟორიტარობის კანდიდატმა გაურკვეველი მიზეზებით, რეგისტრაციის გავლიდან მალევე მოხსნა კანდიდატურა. პარტიას არ ყავს მერობის კანდიდატი. ქამადაძის განმარტებით: „მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო პარტია ვართ, მაინც ახლგაზრდა პარტიად ვითვლებით. აქტიურად პარტია ამ არჩევნებში ამოქმედდა ჩვენს რაიონში. შემდეგ არჩევნებში პარტია უფრო გაძლიერდება და აქტიურადაც ჩაერთვება".

რაც შეეხება გენდერული ბალანსის დაცვას, „ნაციონალური პარტიის" ლიდერის თქმით: „ჩვენ წამოვწიეთ გენდერული საკითხი ქვეყანაში და როგორ შეიძლება „ნაციონალურმა მოძრაობამ" ეს დაარღვიოს. სიის ათეულში 3 ქალი გვყავს და ასევე სამი მაჟორიტარობის კანდიდატი".

ამ მხრივ საუკეთესო მაჩვენებელი „პატრიოტთა ალიანსაც" აქვს - პროპორციული სიის 16 კანდიდატიდან 8 ქალია, ხოლო სამი მაჟორიტარი კანდიდატიდან ერთია ქალი. პატრიოტთა ალიანსის ლიდერის თქმით: „ყველა პარტიას, რომ შეშურდება, ისეთი კანდიდატები გვყავს".

ტურისტებისთვის ფოთი მიმზიდველი ხდება

თეკლე მატკავა
ფოთი

ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, 2015 წელს ტურიზმის განვითარების ცენტრი გაიხსნა. ცენტრის გახსნის მიზანი ფრიად ამბიციურია - ფოთის ტურისტული პოტენციალის გამოვლენა, გამოყენება და პოპულარიზაცია გახლავთ. ფოთსა და მის შემოგარენში არსებული ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, საკურორტო-გამაჯანსაღებელი, ასევე სპორტულ-გასართობი ატმოსფეროს შექმნის პირობები, მალთაყვის შავიზღვისპირეთის ზოლი, ქალაქში ისტორიულ- კულტურული გარემო ქმნის პერსპექტივას ფოთი გადაიქცეს ტურიზმის მნიშვნელოვან ცენტრად. შეიქმნა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ პირებს, ვიზიტორთა ჯგუფებს, ტურისტულ კომპანიებს კონკრეტული ტურების, რუკების და გზამკვლევების შესახებ. ტურიზმის განვითარების ცენტრმა, არაერთ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე განახორციელა ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტები.

2016 წელს ფოთის ტურიზმის განვითარების ცენტრი დაფინანსდა 149,5 ათასი ლარით. ცენტრში 19 ადამიანია დასაქმებული, მათ შორის საზღვაო- სამაშველო სამსახურისთვის 3 თვის ვადით 12 მაშველის დასაქმებაა გათვალისწინებული. გაფორმდა მემორანდუმი კოლხეთის ეროვნული პარკის ახალ ხელმძღვანელობასთან. 2016 წელს 350 უცხოელი ტურისტი ეწვია ჩვენს ქალაქს. 2017 წლის მაისიდან 2017 წლის ოქტომბრამდე სულ 341 ტურისტი, ძირითადად რუსეთიდან, სტუმრობდა ფოთს. ტურისტები გვეწვივნენ ასევე პოლონეთიდან, ყაზახეთიდან, გერმანიიდან. რაც შეეხება ვიზიტორთა გაჩერების ადგილს, ისინი ძირითადად დაბინავებულნი იყვნენ ბათუმში, ურეკსა და ქობულეთში, ასევე კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. მათი გადაადგილების მარშრუტს წარმოადგენდა მარტვილი, სვანეთი და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიები.

ფოთში არსებული ტურიზმის განვითარების ცენტრისა და საგანგებო სიტუაციების მართვის „წყალზე სამაშველო" სამსახურთან ერთად, ფოთის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა სანაპირო სამაშველო სამსახური, რომელიც თავისი კომპეტეციის ფარგლებში ქალაქის სანაპირო ზოლზე, ზაფხულის განმავლობაში (ივნისი, ივლისი, აგვისტო) ახორციელებდა სამაშველო ღონისძიებებს.

ფოთში მაჟორიტარულ კანდიდატებსა და პარტიების წარმომადგენლებს შორის დისკუსია გაიმართა

დასაწყისი 3- გვ.

ლისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ და ამბობენ, რომ მათგან არანაირი დახმარება არ მიუღიათ. ხელისუფლება ამ კუთხით ბიუჯეტში თანხების გაუთვალისწინებლობას იმიზეზებს.

უსინათლოთა კავშირის ბენეფიციარები 30 ლარიანი დახმარების 50 ლარამდე გაზრდას ითხოვენ. მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ბრაილის შრიფტის შემსწავლელი კურსების ამოქმედება. ასვე პრობლემურია გადაადგილება მოუწესრიგებელი საფეხმავლო ბილიკებით.

პროექტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა დევნილთა დასახლებაში მცხოვრებ დევნილ ქალებთან. მათი უპირველესი პრობლემა უმუშევრობის მაღალი დონეა. ქალებმა განსაკუთრებულად ხაზი გაუსვეს დასახლებაში საბავშვო ბაღის საჭიროებას, დასახლებაში ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს, მაგრამ აქ მცხოვრები ბავშვების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ჯერ არ აშენებული ბაღი ითვალისწინებს. ბაღი 90 ბავშვზეა გათვალისწინებული, თუმცა დასახლებაში მეტი კონტიგენტია. სკოლის საკითხიც ძალიან აქტუალურია, რადგან სკოლები დასახლებიდან მოშორებით არის განთავსებული და ბავშვებს უჭირთ გადაადგილება, თან ეს დამატებით ხარჯებთანაცაა დაკავშირებული. ძალიან ბევრი პრობლემაა თავმოყრილი ერთ დასახლებაში - არ არის გამართული საკანალიზაციო სისტემა, არ არის საკმარისი რაოდენობის გასართობი მოედნები. ისინი ადგილობრივი ხელისუფლებისგან ითხოვენ ამ საკითხების მოგვარებას. არსებობს კიდევ ერთი - უპატრონო ძაღლების პრობლემა. ეს ძაღლები საშიშროებას უქმნიან არამარტო ბავშვებს, არამედ იქ მცხოვრებ მოსახლეობას მთლიანად.

შეხვედრის მიმდინარეობისას ქალი ამომრჩევლების გააქტიურებაზე და, ზოგადად, ქალის როლის მნიშვნელობაზე ისაუბრეს მაჟორიტარობის კანდიდატებმა. ასევე, გამოკვეთილად ხაზი გაუსვეს ინკლუზიურ გარემოს, შშმ პირების პრობლემებს. წამოიჭრა არაერთი საკითხი ამ თემის გარშემო. ყველა ერთხმად თანხმდება, რომ ქალაქში არ არის შექმნილი ადაპტირებული გარემო, რათა შშმ პირებმა თავი დაცულად და კომფორტულად იგრძნონ. მათ არ აქვთ საკუთარი თავის და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ შესაფერი განათლება მიღებული აქვთ, თავის რჩენა უწევთ ფიზიკური შრომით. "ლეიბორისტული პარტიის " ფოთის ორგანიზაციის ლიდერ მამუკა ხორავას თქმით: "ელემენტარულად ქალაქში არ არის სპეციალური საგზაო ნიშნები, გაჩერებები, არ არის ლიფტური ავტობუსი. როდესაც საკრებულოში შევალთ, ვიზრუნებთ, რომ ქალაქში 2 ლიფტური ავტობუსი მაინც იყოს, რადგან ამ ადამიანებმა თავი გარიყულად არ იგრძნონ."

"შენების მოძრაობის" კუნძულის უბნის მაჟორიტარობის კანდიდატი ლევან მაშავა თვლის, რომ ზოგადად პრობლემა საზოგადოების გაუნათლებლობიდან მოდის, არასწორი მიდგომის და კომპლექსების შედეგია ის, რომ გარიყულად და კარჩაკეტილად ცხოვრობენ სხვა დანარჩენი საზოგადოებიდან.

"ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" პროპორციული სიის №8 კანდიდატი ბაქარ ერაგიას თქმით: "ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღე და აუცილებლად გავითვალისწინებთ სამომავლო საქმიანობაში, პრიორიტეტულად და ეტაპობრივად დავსვამთ ჩვენი პოლიტიკის დღის წესრიგში ამ საკითხის მოგვარებას და მოვაგვარებთ კიდეც".

შეხვედრას ესწრებოდნენ "სამართლიანი არჩევნების" რეგიონული წარმომადგენელი თეა შონია და არასამთვრობო ორგანიზაცია "დიოსკურიას" ხელმძღანელი ნონა ხუხია.

დისკუსიის დასასრულს მედიაცენტრის მიერ გაიცა რეკომენდაციები კანდიდატებისათვის, როგორ უნდა იმუშაონ სამომავლოდ არსებულ პრობლემურ საკითხებზე მათი არჩევის შემთხვევაში.

2017 წლის 21 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები გაიმართება

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე მისვლისას თქვენ გადმოგეცემათ საარჩევნო ბიულეტენები:

- საკრებულოს პროპორციული არჩევნებისთვის (პარტიების, ბლოკების ჩამონათვალი)
- საკრებულოს მაჟორიტარული არჩევნებისთვის (მაჟორიტარი კანდიდატების ჩამონათვალი)
- მერის არჩევნებისთვის (მერობის კანდიდატების ჩამონათვალი)

თითოეულ საარჩევნო ბიულეტენში თქვენ უნდა შემოხაზოთ
თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი

კენჭისყრა იმართება 08.00 საათიდან 20.00 საათამდე

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა

თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი

გაიკეთეთ მარკირება

მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბექდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენები

კენჭისყრის კაბინაში თითოეულ საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა

თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეთ მასში სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი



ვმუშაობთ შენთვის!

ფოთის ღია პირველობა ცხენოსნობაში

15 ოქტომბერს იპოდრომზე გაიმართა საცხენოსნო სასპორტო სკოლის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით ფოთის ღია პირველობა ცხენოსნობაში ვალერიან მაქაცარიას თასზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის იპოდრომის, ნატახტარის, მუხრანის, კაჭრეთის, ბათუმის, ზუგდიდისა და ფოთის საცხენოსნო სასპორტო სკოლების ნაკრებმა გუნდებმა. გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გასული მხედრები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებითა და თასებით.

„კონკური-1"

I ადგილი - ნიკოლოზ ვეშაპიძე - მუხრანის საცხენოსნო სასპორტო სკოლა

II ადგილი - გიორგი კვარაცხელია - ფოთის საცხენოსნო სასპორტო სკოლა

III ადგილი - თეონა ლაშხია - მუხრანის საცხენოსნო სასპორტო სკოლა

III ადგილი - ნინიკო ჯახაია - ზუგდიდის საცხენოსნო სასპორტო სკოლა

„კონკური-2"

I ადგილი - კახაბერ კიკიანი - ფოთის საცხენოსნო სასპორტო სკოლა

II ადგილი - გიორგი კვარაცხელია - ფოთის საცხენოსნო სასპორტო სკოლა

III ადგილი - ნატალია მიშკოვა-ტოტიკოვა - მალთაყვის საცხენოსნო კლუბი

ვალერიან მაქაცარიას სახელობის თასი გადაეცა კახაბერ კიკიანს.

ფოთის პირველობა შაშში

14 ოქტომბერს ნანა ალექსანდრიას სახელობის ჭადრაკისა და შაშის კომპლექსურ სასპორტო სკოლის დარბაზში გაიმართა ფოთის პირველობა ჩქაროსნულ ბლიც 64-უჯრიან შაშში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, საერთაშორისო დიდოსტატის თენგიზ ბარამიძის თასზე, როგორც უფროსი ასაკის, ასევე საჯარო სკოლის მოსწავლეთა შორის. გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გასული მოშაშეები დაჯილდოვნდნენ დიპლომებით, მედლებითა და თასებით.

უფროსი ასაკის მოშაშეთა შორის:

I ადგილი - ალექსანდრე გუბელიძე.

II ადგილი - ჯუმბერ გულუა.

III ადგილი - თამაზ ნაჭყებია.

თენგიზ ბარამიძის სახელობის თასი გადაეცა ალექსანდრე გუბელიძეს.

საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის:

I ადგილი - დათო ხაბურზანია, 1 საჯარო სკოლა.

II ადგილი - ლუკა კოდუა, 3 საჯარო სკოლა.

III ადგილი - ლუკა კორკელია, წმინდა ნიკოლოზის სახელობის საგანმანათლებლო საშუალო სკოლა.

საუკეთესო პარტიისთვის თასი გადაეცა დათო ხაბურზანიას, 1 საჯარო სკოლის მოსწავლეს.

საერთაშორისო ტურნირი კრივში

12-15 ოქტომბერს მესტიის სოფელ ლატალში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ალიოშა ჯაფარიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი კრივში ჩატარდა. მასში ფოთელი მოკრივეებიც ასპარეზობდნენ. შედეგები ასე გამოიყურება:

დარსალია ლუკა - 36,8კგ - 1 ადგილი (პირადი მწვრთნელი რუბენ ქიქავა)

საჯაია შალვა - 60კგ -1 ადგილი(პირადი მწვრთნელი დავით დავითიანი

საჯაია გიორგი - 46კგ -1 ადგილი (პირადი მწვრთნელი დავით დავითიანი)

ხავთასი გენო - 44,5კგ - 1ადგილი (პირადი მწვრთნელი გოჩა რუსია)

გუჯაბიძე დავითი -57კგ - 3 ადგილი (პირადი მწვრთნელი დავით დავითიანი

რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

13-14 ოქტომბერს ქობულეთში ჩატარდა როსტომ მელაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2002-2005 და 2006-2008 წწ.დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა მოჭიდავეებმა და საპრიზო ადგილები დაიკავეს.

შედეგები ასეთია:

I - ადგილი - ბესო შელია 29კგ.

I - ადგილი - ილია გოგატიშვილი 32კგ

II - ადგილი - ზვიად ჯალაღონია 38კგ.

II - ადგილი - გია გოგატიშვილი 23კგ.

III - ადგილი - მათე თუნთია 23კგ.

III - ადგილი - საბა კუმარიტოვი 23 კგ.

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის

1 წლით - 50 ლარი

6 თვით - 25 ლარი

3 თვით - 12,50ლარი

კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის

3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს

სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19

ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე

იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)-37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.